პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 59 (13180) | პარასკევი, 12 მარტი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

• დეპუტატობის კანდიდატები

1965 21 მარტი

თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისში“ ნაზი ლობჟანიძე 1962 წელს მოვიდა საშუალო განათლებით. მას გულით უნდოდა დაუფლებოდა მჭოველის პროფესიას. გამოცდილი ოსტატის გულრამ მიმინოშვილის დახმარებით წადილი მალე შეუსრულდა. მოკლე დროში მუყაითმა გოგონამ დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა. არც სწავლის გაგრძელების სურვილისათვის უღალატია.

ნაზი კარგად ათავსებს სწავლასა და ნაყოფიერ შრომას. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტია.

ფაბრიკის კოლექტივმა ენერგიული, შრომისმოყვარე გოგონა ღირსეულად დააფასა, იგი კიროვის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა.

ტრაქტორისტმა გიორგი ბრეგვაძემ საჩხერის რაიონში სასახელო შრომით გაითქვა სახელი. იგი თოთხმეტი წელია ტრაქტორისტად მუშაობს. შრომაში ყოველწლიურად საამაყო მაჩვენებლებს აღწევს. ამასთან მან ოც ახალგაზრდას შეასწავლა ტრაქტორის მართვა. სახელგანთქმული მექანიზატორი მშრომელებმა საჩხერის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

აი ახალგაზრდები — მილიონთა წარმომადგენლები, სწავლაში მეჯითნი, შრომაში მამაცნი, ყოფაცხოვრებაში სანიმუშონი. ისინი საქმით ამართლებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას, ხალხის სიყვარულს.

სწორედ ასეთ მოწინავე, სამაგალითო ახალგაზრდათა, კომუნიზმის აქტიურ, შეგნებულ მშენებელთა აღზრდის საკითხებზე მსჯელობენ ახლოთ მკითხველები ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში (იხ. მე-8 გვერდი).

• • •

სურათებზე: ნაზი ლობჟანიძე და გიორგი ბრეგვაძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა და ა. მაკავარიანისა.

რაიკომი და მისი აქტივი

დიდსა და პასუხსაგებ ამოცანებს წყვეტენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. თავიანთი მოღვაწეობით მათ ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. აქტიურად ჩაღდება ბრძოლა მრეწველობაში შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობის მისაღწევად.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა პრაქტიკულად განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პარტიის რაიონულ კომიტეტებს. ისინი განიხილავენ და წყვეტენ ცხოვრების ყველაზე მომწიფებულ საკითხებს, აყენებენ ამოცანებს სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანოების წინაშე.

პარტიის რაიკომი ყველაზე ახლოს დგას წარმოებასთან. ამიტომ მას შეუძლებლობა აქვს დროზე შეამჩნიოს და მხარი დაუჭიროს ყოველივე ახალს, ძოწინავეს, წინ აღუდგეს ძველსა და დრომოჭმულს. სრულად გამოავლინოს რეზერვები და მიაღწიოს მათს უკეთ გამოყენებას. რაიკომი კოორდინაციას უკეთებს და წარმართავს ყველა ორგანიზაციის მოღვაწეობას ადგილებზე, უშუალოდ ეცრდნობა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ფართო მასების გამოცდილებასა და ინიციატივას.

განსაკუთრებით იზრდება პარტიის რაიკომის როლი ამჟამად, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას უთმობს ხელმძღვანელობის რაიონული რგოლის განმტკიცებას, მისი მუშაობის სრულყოფას. ამის ნათელი დადასტურებაა პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით აგება, რასაც რამდენიმე თვეა დავუბრუნდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

რაიკომი და მისი აპარატი პრაქტიკული ხელმძღვანელობის ორგანიზატორები არიან. მაგრამ შეცდომა იქნება ჯიფიქრით, რომ რომელიმე რაიკომი წარმატებით გაართმევს თავს მის წინაშე მდგომ ამოცანებს მხოლოდ შტატის მუშაკთა ძალებით. სწორად იქცევიან რაიონული პარტიული კომიტეტები, რომლებიც თავიანთ მუშაობაში იზიდავენ ფართო აქტივს, ყოველდღიურად წარმართავენ მის მუშაობას და ზრდიან ადამიანებს მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

როგორ ახორციელებს კონკრეტულ, ცოცხალ ხელმძღვანელობას პირველადი ორგანიზაციებისადმი პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი?

რაიკომმა მუშაობაში ფართოდ მიიზიდა აქტივისტები. პარტიის წევრები სიიმოვნებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობის წესით ასრულებენ რაიკომის მუშაკთა მოვალეობას. ესენი პირველ რიგში არიან შტატგარეშე ინსტრუქტორები, რომლებიც რაიკომს მხარში უდგანან და ყველა საქმეში დიდ დახმარებას უწევენ. სწორედ შტატგარეშე ინსტრუქტორების მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ბევრი სასარგებლო ინიციატივა, რამაც რაიონში შეიტანა ფრთები. პარტიის რაიკომთან შექმნილია ოთხი შტატგარეშე კომისია; მათ ხაქმის მცოდნე, ენერგიული ამხანაგები ხელმძღვანელობენ. ამ კომისიების მუშაობის გამოცდილება დამაჯერებლად მეტყველებს პარტიულ ცხოვრებაში საზოგადოებრივი საწყისების ფართოდ გავრცელების სასარგებლოდ.

საზოგადოებრივი საწყისები სულ უფრო მეტად ჩნდება აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოღვაწეობაში. ეს ხელს უწყობს თბილისის მთავარი არტერიის — ლენინის რაიონის მშრომელებს წლითიწლამდე ზარდონ თავიანთი წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სულ უფრო და უფრო მეტი კომუნისტი ებმება აქტიურ პარტიულ მუშაობაში თეთრი წყაროს რაიონშიც. ძნელია ჩამოთვალო ის მრავალფეროვანი ფორმები, რომელთა საშუალებით რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ახორციელებენ კავშირს მასებთან. მარტო რაიკომში მუშაობს 19 შტატგარეშე ინსტრუქტორი, ორი შტატგარეშე განყოფილება, ორი კომისია, თითო საბჭო და სექცია, რომლებშიც 250 კომუნისტია გაერთიანებული. ფართოა იმ საკითხებისა და ღონისძიებათა წრე, რომლებსაც ისინი ახორციელებენ. იდეოლოგიური კომისიის ინიციატივით ამ დღეებში პარტიის რაიკომთან შეიქმნება კომუნისტური შრომის პროპაგანდის სახლი. ამ სახლში მოისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს, აქტივისტები ერომანეთს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, აგიტატორები უშუალოდ გაეცნობიან თვალსაჩინო საშუალებებს და ა. შ.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფამ, პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარებამ სხვა რაიონის პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების აქტივობაც აამაღლა. პარტიის რაიკომები ახლა უფრო მოქნილად, გონივრულად ახორციელებენ თავის, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელის როლს, აძლიერებენ კავშირს პარტორგანიზაციებთან და მშრომელთა კოლექტივებთან, ღრმად და კონკრეტულად სწვდებიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, აღმშრდელობითი მუშაობის საკითხებს.

მაგრამ არის ცალკეული გამონაკლისებიც. არცთუ იშვიათად ზოგიერთ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებისგან გაიგონებთ: — ეჰ, ბევრ ხიძნელეს ვაწყდებით, ცოტა აქტივისტი გვყავს და ბევრი მთოგანი ცუდად მუშაობს.

გესმით ყოველივე ეს და გიკვირთ: განა დასაჯერებელია, რომ რაიონში, სადაც ათეულ ათასობით კაცი მუშაობს, საკმაო აქტივი არ იყოს? ყოველი რაიონი, თვითეული საწარმო, საზოგადოებრივი მეურნეობა თუ შემოკმედებითი ორგანიზაცია მდიდარია უნარიანი ორგანიზატორებით. საჭიროა მხოლოდ დავინახოთ ისინი, მივიზიდოთ საზოგადოებრივ მუშაობაში და დავეხმაროთ მათ. სადაც ეს არ ესმით, იქ მუშაობა ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების უკანასკნელი ანგარიშგება-არჩევნებისა და რაიონული პარტიული კონფერენციების შედეგად ბევრი ახალი აქტივისტი შეგვემატა. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებანი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად უკეთ ვასწავლით და აღვზრდით მათ.

გაზაფხულის დადგომამ სოფლად შრომითი ენთუზიაზმი გააღვივა. ახალი ძალით ჩაღდება მუშაობა მინდვრებსა და პლანტაციებში, ხეხილის ბაღებსა და ვენახებში, მიმდინარეობს დოლი. პარტიული აქტივისტის ადგილი ახლა და ყოველთვის იქ უნდა იყოს, სადაც ადამიანები უშუალოდ წყვეტენ მატერიალური დოვლათის შექმნის ბედს. მშრომელი კაცისათვის ყველაფერი მნიშვნელოვანია: კეთილი რჩევა და ცოცხალი პრაქტიკული დახმარება, მოხსენება და ლექცია, საგაზეთო საუბარი და გაზეთის ხმამაღალი კითხვა, კინო და რადიოგადაცემა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საყოფაცხოვრებო მოწყობას და კულტურული დასვენების ორგანიზაციას.

პარტიული მუშაობა საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროა და მასში აქტიური მონაწილეობა კოთახობით კომუნისტისათვის ცხოვრების ნორმა ხდება. სწორედ ეს არის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ახალი აღმავლობის, მთელი მათი მოღვაწეობის სრულყოფის გზა.

დამამთავრებელი ნელი შვიდწლედისა

გეგმის გადამეტებით

ახალი შრომითი წარმატებებით ეგებება ჰიათურის ტაანიგზის საგზაურის კოლექტივი საქართველოს სსრ მშრომელთა. დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს.

აქ ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ცვლებსა და ბრიგადებს შორის, რის შედეგადაც თებერვალში გეგმის გადამეტებით დატვირთა 210 ვაგონი და გადაზიდულ იქნა 50 ათასი ტონა ზეგეგმითი ტვირთები.

შ. სუქნიძე.

◆

ზეგეგმითი ჩარხები

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში დიდი შრომითი აღმავლობაა თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში. ჩარხშენებლებმა იანვარ-თებერვალში 107,7 პროცენტით შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ორი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლეს 10,5 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მ. აბრიამშვილის საამწყობო საამქრო, რომელმაც წარმატებით გაანაღდა ჩარხების გამოშვების ორი თვის გეგმა.

თავდადებით შრომობენ ქარხნის რაციონალიზატორები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქარხნის წარმატებაში. ძარტო მიმდინარე ორ თვეში მათ 15 რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს. აქედან უკვე დანერგილია 9, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ტ. სისაური.

◆

დავალება ვადამდე

ახალციხე. (საკ. კორ.). ქვანახშირის მაღაროსამმართველოს მაღაროელებმა წარმატებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების თებერვლის გეგმა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 1.000 ტონა სათბობი.

მაღაროელთა წინასაარჩევნო სოციალისტური ვალდებულებაა ვადაზე ხუთი დღით ადრე შეასრულონ ქვანახშირის მოპოვების კვარტალური გეგმა და ათასობით ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი მისცენ სამშობლოს.

გაგაფხულის სუნთქვა

კარგი დასაწყისი

ჩოხატაურის რაიონის სოფელ საკამიაურის ჩხაკერის საბჭოთა მეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

უკვე დამთავრდა ვენახის მწკრივთა შორის ბარვა სასუქების შეტანით. ეს სამუშაო კარგად შესრულეს იმ ადრეხრეგადებში, რომლებსაც ტ. დუდუჩავა, მ. ზაქარეიშვილი და ბ. ხუნდაძე ხელმძღვანელობენ. აქ განსაკუთრებული ყურადღება მექცევა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. ამ საქმეს მზრუნველობით ეკიდებიან აგრონომიური სპეციალისტები და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წევრები.

მეურნეობაში გამოყენილ უნდა იქნას 300 ათასი ძირი ჩხავერის ნერგი. საამისოდ ნიადაგის მომზადება 3 ჰექტარზე მალე დამთავრდება.

მეურნეობის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს 700 ცენტნერი ყურძენი, ამასთან ერთად გამოიყენოს 120 ათასი ძირი ჩხავერის ჯიშის ვაზის ნერგი.

დ. გურგენიძე.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ივნის გამო, რომ დამთავრდა ჯელალაბადის საარაგაცო არხის მშენებლობა ავღანეთში, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით შენდებოდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 8 მარტის ბრძანებულებებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა ის საბჭოთა მუშები და სპეციალისტები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მშენებლობაზე. დაჯილდოებულია 31 საბჭოთა სპეციალისტი კაცი და 25 ავღანელი მოქალაქე.

საბჭოთა სპეციალისტებს შორის დაჯილდოებული არიან: ლენინის ორდენით — 2, შრომის წითელი დროშის ორდენით — 3, „სამამული ნიშნის“ ორდენით — 8, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 10 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 8 კაცი.

ავღანელი მოქალაქენი დაჯილდოებული არიან: შრომის წითელი დროშის ორდენით — 3, „სამამული ნიშნის“ ორდენით — 4, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 9 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 9 კაცი.

ბრძანებულებანი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

მსახიობ ვ. ვ. ბელოკუროვს მიანიჭეს სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება

საბჭოთა თეატრისა და კინოს განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის სამამამო წოდება მიანიჭა სსრ კავშირის მ. გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობს ვლადიმერ ვიაჩესლავის-ძე ბელოკუროვს.

(საკდესი).

წიგნი საბჭოდან მებრძოლებზე

მოსკოვი, 10 მარტი. (საკდესი). „შვიდობიანი დღეები, საბრძოლო გმირობა“ — ასე ეწოდება ახალ წიგნს, რომელიც სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობამ გამოუშვა. ავტორთა კოლექტივი წიგნში აშუქებს მერაკეტეთა, მეზღვაურთა, მფრინავთა, მესანგრეთა, პარაშუტისტთა ცხოვრებას, საბრძოლო წვრთნას. დაბეჭდილია ნარკვევები და მოთხრობები საბჭოთა მერაკეტეების გაბედული და უნარიანი მოქმედების შესახებ, რომლებმაც 1960 წელს მოსპეს ამერიკელთა ჯასუსური თვითმფრინავი, იმ მეზღვაურებზე, რომლებიც ფინეთის ყურეში იცურავენ დიდი სამამულო ომის დღეებში გაშვებულ მომაკვდინებელ ნაღმებს.

წიგნში მოყვანილია მამაცობისა და გმირობის ჩაყოთ მაგალითები, რასაც საბჭოთა მებრძოლები იჩენენ ადამიანთა გადასარჩენად.

გენიჩესკელთა დელეგაცია მახარაძეში

მახარაძე. (საკ. კორ.). გუშინ მახარაძეში ჩამოვიდნენ უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან: გ რ ი გ ო ლ მ ი ტ ლ ე ნ კ ო (დელეგაციის ხელმძღვანელი) — გენიჩესკის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსი, ვ ა ს ი ლ რ ი უ მ შ ი ნ — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ი ა კ ო ბ ვ ო რ ო ბ ი ო ვ ი — კოლმეურნეობა „ვოლნა რევოლუციის“ პარტბიუროს მდივანი, ლ ი უ ბ ა ლ ა გ რ ი ნ ე ნ კ ო — კოლმეურნეობა „როდინას“ მეცხოველეობის ფერმის მწველავი.

გენიჩესკის რაიონის დელეგაციის წევრები დღეს მონაწილეობას მიიღებენ რაიონში მოწვეულ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში. გაეცნობიან 1964 წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს და გააფორმებენ 1965 წლისათვის ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს, შემდეგ გაეცნობიან რაიონის კოლმეურნეობათა მუშაობას, მათს ეკონომიკას.

გარდაიცვალა მეხტი გუსეინი

უეცრად გარდაიცვალა სიტყვის თვალსაჩინო ოსტატი, აზერბაიჯანის სახალხო მწერალი, აზერბაიჯანული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მისი იდეური სიწმინდისა და მხატვრული სიმწიფისათვის დაფასებული მებრძოლი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეხტი ალი ოღლი გუსეინოვი (მეხტი გუსეინი). მეხტი გუსეინის ნაწარმოებები ფართოდ ცნობილია როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა შორის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

(საკდესი).

ქართველი მოცეკვავეები პარიზში

ტრიუმფალური გამოსვლა

პარიზი, 11 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ი. კონოვალოვი იუწყება:

დიდი წარმატებით გამართა გუშინ პარიზში პირველი კონცერტი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა. სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

აი უკვე სამი კვირაა, რაც საფრანგეთში იმ ყოფება ანსამბლი, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ილიკო სუხიშვილმა. კოლექტივი გამოვიდა ნიცაში, ტულონში, მონელიეში, კანში, ნანტსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში. ყველგან უაღრესად გულთბილად გვიგებებდნენ. მაგალითად, ავინიონში, შედარებით პატარა ქალაქში, სადაც ხალხით გაჩედილ დარბაზებში გამართეთ მთელი რიგი კონცერტები, რამდენიმე ათასი განაცხადი დარჩა დაუკმაყოფილებელი.

ილიკო სუხიშვილმა აგროილო დიდი დასტა ამონაბეჭდებისა პროვინციული გაზეთებიდან.

„ანსამბლმა გვიჩვენა არაჩვეულებრივი თავისთავადი სეეტაკლი, რომელმაც მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია“, წერს ნიცის გაზეთი „ლ' ეს ეუაარი“.

„მოუჯადოებელი ტექნიკა, ბრაცია, გემოვნება, გამომგონებლობა დადგმაში, ქართული ანსამბლის ტრიუმფალური გამოსვლა ტულონში!“ — წერდა ადგილობრივი გაზეთი „რეპიუბლიკი“.

ჩვენი წარმატება, თქვა დასასრულ სუხიშვილმა, ბევრად აიხსნება იმით, რომ ფრანგ ხალხს დიდი სურვილი აქვს უკეთ გაიცნოს ჩვენი ქვეყანა, გაიცნოს მისი კულტურა, მისი ხალხის ხელოვნება.

ქართველთა ტანმეკრამენტიანმა კოლექტივმა მოხიბლა პარიზის მოგზაურები მაყურებელი. განსაკუთრებით გულთბილად მიიღეს „ფარიკაობა“, „ხევსურული სუიტა“, „შეჯიბრი“. კონცერტს დასწრო საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი.

ᲓᲐᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲯᲔᲚᲐᲚᲐᲑᲐᲓᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲖᲔ

ᲯᲐᲑᲣᲚᲘ. 11 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დ. ს. პოლიანსკის მეთაურობით დღეს დილით ქაბულიდან გაემგზავრა ნანგარხარის პროვინციაში, სადაც ჯელალაბადის საირიგაციო სისტემის სამუშაოთა დამთავრებისა და გახსნის გამო გაიმართება საზეიმო ცერემონია.

ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჯელალაბადში გაემგზავრნენ ავღანეთის შეფე მუჰამედ ზაჰირ-შაჰი, მთავრობის წევრები, ავღანეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

ასეთ კომენტარს უკეთებს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა ცდებს — ხაგონის ანტისახალხო რეჟიმის დაცვის საკითხების მომიზეზებით გაამართლონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ჩინეთში ფართოდდება მოძრაობა, რომ ქალაქის ახალგაზრდობამ მონაწილეობა მიიღოს სახოფლო-სამეურნეო წარმოებაში. გასული წლის გაზაფხულიდან დღემდე 160 ათასი ქალაქელი გაემგზავრა მშობლიური ქალაქებიდან სოფლად სამუშაოდ. გუშინდელ სტუდენტთა, სკოლების კურსდამთავრებულთა დიდი ჯგუფები გაემგზავრნენ პეკინიდან, შანხაიდან და სხვა ქალაქებიდან და დამკვიდრდნენ სოფლებში. ბევრმა მათგანმა შეიძინა ახალი სპეციალობა, გახდა წარმოების მოწინავე სახელმწიფო მეურნეობებში.

ქალაქების წარგზავნილები ჩინეთის სოფლებში ავრცელებენ მეცნიერულ და კულტურულ ცოდნას. (საკდესი).

პარლამენტართა ჯგუფის მოთხოვნა

ლონდონი, 11 მარტი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეთა ჯგუფმა თქმა პალატაში შეიტანა პროექტი რეზოლუციისა ვიეტნამის შესახებ. რეზოლუციის ავტორთა წინადადებაა პარლამენტმა მოითხოვოს, რომ „შეწყდეს სამხრეთ მოქმედება ვიეტნამში და კონფლიქტი განსახილველად გადაეცეს დაინტერესებული ქვეყნების კონფერენციას“.

რეზოლუციას ხელი მოაწერეს ლეიბორისტთა პარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ ე. შინწელმა, ა. ბენდერსონმა, ფ. ნოელ-ბეიკერმა, მ. ფუტმა, ს. სილვერმენმა და ფ. ბელენჯერმა.

ᲙᲐᲘᲠᲝ, 11 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲒᲐᲛᲐᲚ ᲐᲑᲓᲔᲚ ᲜᲐᲡᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲮᲣᲠᲝᲑᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

(ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ). ᲐᲥ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲢᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ. ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲥᲐᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲙᲘᲪᲮᲕᲘᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲓᲘᲓᲘᲐᲠᲘᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲘᲜᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲜᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

ვუგრუნდებით დაგეჭდილს — „უწმინდესი ვალი“

საბჭოთა ალვუზარდოთ ღირსეული!

ოზარდი თაობის, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა, ოჯახის სიგბკიცე და პატიოსნება, სრული საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება დიდი ეროვნული ომანი ნახალსაფრთხილოებრივი, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმე რომაა. ეს იმ მრავალი წერილიდანაა ჩანს, რაც რედაქციამ ამ უკანასკნელი ორმოცი-ოდ დღის განმავლობაში მიიღო გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 22 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილზე — „უწმინდესი ვალი“. — გამოსახატავთა სახით.

ქვემოთ მოთავსებული, აბრეთვე რედაქციის პორტფელში არსებული სხვა წერილები გამოსაყენებელია ერთი მთავარი მიზნით — ვასწავლიდეთ, ვზრდიდეთ კომუნისტის შეგნებულ მშენებლებს, სიყრმიდანვე ვუნერგავდეთ ადამიანს სულიერ სიმდიდრეს, მორალურ ნიჭიერებას, რათა კომუნისტური იდეოლოგია სუფევდეს ცხოვრებაში, ზრომაში, ადამიანთა ურთიერთობაში, განუხრელად ვიცავდეთ ახალი ადამიანის მორალური კოდექსის ზნეობრივ პრინციპებს, რომლებიც ოჯოს ასოებით არის ჩაჭერილი საკა პროგრამაში.

ბრძნული რჩევა

დედავ! ისმინე ქართველის
ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ ფინ გაუძღვეს მეშვაინიტეა.
უკან კრჩეს კვალი განათლებული.

ი. ჭავჭავაძე.

უშვილოდა სჯობს სიკვდილი
უკეთურ შვილთა ყოლასა..,

არჩილი.

რამდენადაც მავნებლები არიან ერისათვის ის პირნი, რომელნიც თავისი ენიჯოგით და ზნეობრივი გახარნილებით სახელს უტეხენ თავის დამგადებელს ერს სხვათა ერთა შორის, იმდენად დიდ სამსახურს უწევენ თავიანთ სამშობლო კვეყანას ის პირნი, რომელთაც ვდიდარი ნიჭით, დუმჭანარი ენერგიით, კრინციპიალური მიმართულებით და ზნეობრივი სიწმინდით მაღლა აკაკავთ მთელი კვეყნის თვალში სახელი მათი დამგადებელი ერისა.

ი. გოგებაშვილი.

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწვრთელი შვილის ყოლასა.
ძაღლი უწვრთელი პატრონსა
ასეთს რას დაუშავებსა,
რომ შვილი ბრიყვი უცებ
დედ-მამას განათავებსა?
უცოდინრობით ასეთსა
საკვლევსა იქმს ავებსა,
გვარსა და ნათესავებსა
სირცხვილი სჭირდეს თავებსა.

დ. გურამიშვილი.

ადამიანში ყველაფერი უნდა იქნეს მშვენიერი: გარეგნობაც, ტანსაცმელიც, სულიც და აზრებიც.

ჩვენ ყველანი ხალხი ვართ და ყველაფერი ის საუკეთესო, რასაც კი ვაკეთებთ, სახალხო საქმეა.

უნდა იქნე ნათელი გონებრივად, უმჯობესო ზნეობრივად და სუფთა ფიზიკურად.

ა. ჩეხოვი.

ერის ფესვები
რომ საღი იყოს...

ბავშვის აღზრდას, მის მომავალ მოქალაქედ ჩამოყალიბებას სკოლისა და ოჯახის საერთო ზრდელო მუშაობა განაპირობებს. აღსაზრდელზე გავლენას ახდენს აგრეთვე საზოგადოებრივი გარემო.

წერილში — „უწმინდესი ვალი“, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 22 იანვრის ნომერში დაიბეჭდა, ავტორი მხოლოდ შვილის ბედზე ზრუნვას არდებული მშობლების მაგალითებს განიხილავს.

მაგრამ ამ უგვირგვინო მშობლების გვერდით არიან ადამიანები, რომელნიც დიდ ენერგიას ხარჯავენ შვილების აღზრდაზე, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევენ, რადგან უბრალოდ შეცდომებს უშვებენ თავიანთ სააღზრდელო მუშაობაში. ამ წერილში მხოლოდ ასეთ მშობლებზე გვაქვნება საუბარი.

ბევრ მშობელს სურს შვილს მრავალმხრივი განათლება მისცეს და სასკოლო დავალებებით ისედაც გადატვირთულ მაგზს ასწავლის უცხო ენას, მუსიკას, ცეკვას, ატარებს ხატვის წრეში, სპორტულ ვარჯიშზე. სამწუხაროდ, ზოგჯერ მუსიკას ასწავლიან ბავშვს, რომელსაც სმენა არა აქვს, ან ასწავლიან ხატვას, როცა სათანადო მონაცემები არ გააჩნია. ვადატვირთული ბავშვი თავს ვერ ართმევს დავალებების შესრულებას, მისთვის სანთნო დავალების შესრულება მძიმე ტვირთი ხდება, გონებრივი ზრომა სიძულვილის იწვევს, იგი ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან: ამზადებს მხოლოდ იმ დავალებას, რომელშიც შემოწმებას მოელის; ეჩვევა „შპარგალკების“ გამოყენებას, ამხანაგის მიერ შეასრულებული დავალების გადაწერას; ცრუობს, თავს მოიავდმყოფებს, მშობელს არ უმხელს დაბალი ნიშნის მიღებას. „დავალება შეასრულე, მაგრამ რეული შინ დამრჩაო“, — უცხადებს მასწავლებელს.

გარემოც დიდი და რთული გამოცდის წინაშე აყენებს მშობელს. მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების განვითარების ახლანდელ ეტაპზე ბავშვს იზიდავს რადიოსა და ტელევიზიის ნაირფერი პროგრამები, კინოთეატრების ფართო ქსელი, რომელთა სეანსები ადრე დილიდან გვიან ღამამდე გრძელდება, კინოფილმები ომის ეპიზოდებით, ტკვლეულობებით, უცხოური ჩაცმულობითა და ზნეგრეულებებით, ათასგვარი სპორტული ღონისძიებანი...

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვფიქრობთ აკუჯანყოდეთ ჩვენი საუკუნის ამ მიღწევებს, მაგრამ ვამბობთ, რომ თუ მშობელს საფუძვლიანი მომზადება და კარგი პედაგოგიური ალღო არა აქვს, თავს ვერ გაართმევს ამ რთულ ვითარებას. მაგრამ, დავას არ იწვევს, რომ ბავშვს კინოფილმში სენსაციური მხარე იზიდავს. ხშირად ბავშვი არასასურველ მიმბაძველობასაც იჩენს. ამავე დროს ვერ ამჩნევს ფილმის დადებით გმირთა ნებისყოფის სიმტკიცეს, დიდ ჰუმანიზმს, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულსა და თავდადებას. ჩვენ არ უარყოფთ ბავშვისათვის ფილმის ჩვენებას, მაგრამ მოვითხოვთ, რომ მშობელმა, მასწავლებელმა, უფროსმა და-ძმებმა, რომლებთანაც ერთად უნდა ესწრებოდეს ბავშვი კინოფილმის ჩვენებას, „ეიდნენ“ და ასწავლონ ბავშვებს დაინახონ ფილმში ის, რაც სასარგებლოა, რასაც დიდი აღმზრდელობითი და შეეცნებითი ღირებულება აქვს მათთვის.

ბავშვის ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებს მშობლის პირადი მაგალითი.

როგორ უნდა მოვექცეთ იმ მშობლებს, რომელნიც ბევრს ზრუნავენ თავიანთი შვილების აღზრდისათვის, მაგრამ ეშიტმან, რომ არ იცნობენ პედაგოგიკის ელემენტარულ პრინციპებს, ვერ აღწევენ სასურველ შედეგს?

ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გამოსავალი იქნება მშობელთა ფართო მასების პედაგოგიზაცია. ამ მხრივ ახლაც წარმოებს ერთგვარი მუშაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი საკმარისი არ არის. საჭიროა არა ეპიზოდური, არამედ კარგად მოფიქრებული, მწყობრი, სისტემატური მუშაობა მშობელთა პედაგოგიზაციის დარგში. უნდა შეიქმნას მშობელთა უნივერსიტეტების ფართო ქსელი. მუშაობა უნდა გააძლიერონ მშობელთა ტელევიზიერმა ტელეუნივერსიტეტმა, რადიომაუწყებლობამ, ზოგიერთი გაზეთისა და ჟურნალთან შეიქმნას „მშობელთა კუთხე“, ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის მსგავსად დაარსდეს რესპუბლიკური ჟურნალი მშობლებისათვის, შეიქმნას „მშობელთა ბიბლიოთეკა“.

„ახალგაზრდობა ერის ფესვებიაო“ — უთქვამს ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს იაკობ გოგებაშვილს, და ჩვენც არ უნდა დავიშუროთ ძალა და ენერგია „ერის ფესვებისათვის“ ნიადაგის განოყიერებისა და აღზრდის ხელსაყრელი კლიმატის შესაქმნელად.

ნ. კიკვიძე.

თბილისის I საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

დიდი სახალხო საქმე

ოზარდი თაობის, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა, ოჯახის სიგბკიცე და პატიოსნება, სრული საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება დიდ ეროვნულ-სახალხო საქმეა.

ეს ... ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმე რომაა. ეს იმ მრავალი წერილიდანაც ჩანს, რაც რედაქციამ ამ უკანასკნელი ორმოცი-ოდ დღის განმავლობაში მიიღო გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 22 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილზე — „უწმინდესი ვალი“. — გამოსახატავთა სახით.

ქვემოთ მოთავსებული, აბრეთვე რედაქციის პორტფელში არსებული სხვა წერილები გამოსაყენებელია ერთი მთავარი მიზნით — ვასწავლიდეთ, ვზრდიდეთ კომუნისტის შეგნებულ მშენებლებს, სიყრმიდანვე ვუნერგავდეთ ადამიანს სულიერ სიმდიდრეს, მორალურ ნიჭიერებას, რათა კომუნისტური იდეოლოგია სუფევდეს ცხოვრებაში, ზრომაში, ადამიანთა ურთიერთობაში, განუხრელად ვიცავდეთ ახალი ადამიანის მორალური კოდექსის ზნეობრივ პრინციპებს, რომლებიც ოჯოს ასოებით არის ჩაჭერილი საკა პროგრამაში.

კომუნიზმზე გადასვლა გულისხმობს შეგნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდასა და მომზადებას, რომელებსაც უნარი ექნებათ ეწეოდნენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას, ატარიარ საქმიანობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებაა სხვადასხვა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, — ჩაჭერილია საკა პროგრამაში.

ეი რას გულისხმობს აღზრდა — ადამიანის ჩამოყალიბების, მოქალაქის ფორმირების ეს დიდი და რთული პროცესი.

ძირითადად ოჯახი და სკოლა ეწევიან ამ საპატიო მუშაობას, მაგრამ ისმება კითხვა—რას აკეთებს, როგორ იქცევა მშობლიური და ახლობელი ფარგლიდან გასული? ვისთან არის იგი, როგორ ატარებს ოჯახისა და სკოლის გარეთ დროს?

— ეი აქ უკვე მწვავედ იგრძნობა საზოგადოებრივ ორგანოების როლი და ადგილი აღზრდაში.

ოჯახი, სკოლა, საზოგადოებრივ ორგანოები არიან პასუხისმგებელი მოზარდი თაობის აღზრდისათვის. მაგრამ აღზრდა ისეთი დიდი და რთული პროცესია, რომ ამ პარტიული ხელმძღვანელობა და ხრუნვა თუ აკლია, ვერ აღწევს სასურველ შედეგს.

პარტია, მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მოზარდი თაობის აღზრდას. მარტო ჩვენი რესპუბლიკის მაგალითი რამდენი რამის მეტყველია: მაგ პირველი ადგილი უკრაინას მსოფლიოში ყოველ ათას მკვლოვრებზე საშუალო და უმაღლესი განათლებია მქონე ადამიანთა რაოდენობის მხრივ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამბ. თ. ლაშქარაშვილი ამას წერდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოუთხროდა ამ დიდ ხრუნვაზე, რასაც მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში იჩენენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, მთავრობა. ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების ქსელის ზრდამ, სკოლების ნივთიერი და სასწავლო ბაზის განმტკიცებამ, სკოლა-ინტერნატებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოებამ მოსწავლეთა კონტინგენტის დიდი ზრდა გამოიწვია. მოსწავლეთა კონტინგენტი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 220 ათასი მოსწავლით გაიზარდა და ამჟამად ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში 840 ათასს მიაღწია.

ამას უნდა მივუმატოთ შემდეგი სასახარულო ციფრები: საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 75 ათასამდე სტუდენტი სწავლობს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 35 ათასზე მეტი ახალგაზრდა.

საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები უდიდესი ენერგიით შრომობენ სოფლად და ქალაქად, ახალ მშენებლობებზე, გვიჩვენებენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალურ თვისებებს სწავლაში, შრომაში, ყოფაცხოვრებაში.

სწორედ ამ ნათელ ფონზე უფრო შესამჩნევი ხდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ხულიგნობის, უზრდელობისა და ულაქციერობის ერთეული გამოელინებები, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენი რეპუბლიკის სინამდვილეში, ეს კი უმთავრესად აღზრდის არასწორად ან დაბალ დონეზე დაყენების შედეგია, რაზეც პასუხისმგებელი არიან ოჯახი, სკოლა, კომკავშირი, მთელი საზოგადოებრივობა.

ეი ამ საკითხებს შეეხებოდა გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 22 იანვრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „უწმინდესი ვალი“. (ავტორი ამხ. ვ. შადური).

წერილში აღძრულმა საკითხებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია რეპუბლიკის მშრომელებში. განსაკუთრებით კი ოჯახის, მშობლების როლსა და პასუხისმგებლობას უყადენენ მკითხველები ხაზს ბავშვების აღზრდაში.

ეი რას სწერს რედაქციას მკითხველი **მ. გოდერძიშვილი:** „იყო კარგი მშობელი — ეს უდიდესი ბედნიერებაა. არ იბადებიან კარგი და ცუდი ბავშვები, არამედ კარგები და ცუდები ხდებიან მშობლების ხელში“. მეორე მკითხველი — **ე. ყარაულაშვილი** გვწერს: „წამხდარი შვილის გვერდით მისი დამმახინჯებელები — უგზოური მშობლები უნდა დავსვათ და პასუხი ვაგებინოთ“.

„როდესაც ოჯახი მოშლილი და არეული, მისი პიროვნი და უდანაშაულო მსხვერპლი ბავშვია“,—წერს მკითხველი **ნ. ყაზახაშვილი.** აღზრდისათვის ოჯახის, მშობლების პასუხისმგებლობის გაზრდის საკითხებზე წერენ მკითხველები **რ. მარტიროსოვი, ს. შეშაბრიძე, ნ. ხანკალაშვილი, მ. კეკლიშვილი, ი. კაციტაძე, გ. ლომკაცი, ნ. მუმლაური, ა. ლელოლიშვილი, თ. სუხიტაშვილი, დ. ჭანკვეტაძე, ნ. გურული, ნ. ბოჭორიშვილი, რ. ხოფერია, ვ. სიხარულიძე, ლ. დონღაძე, ნ. გოჩიტაშვილი, ე. სვანიძე, გ. აბაშიძე, მ. ქავთარაძე, ვ. გელაშვილი, ლ. კვატაშიძე, ე. ხარაბაძე, ს. კილაძე, ა. ჭლამია, ე. ნიკოლეიშვილი, ლ. დეკანოსიძე, ლ. ეკანია.**

მკითხველთა აღელვებული ხელით ნაწერ მრავალ წერილს უკან ცოცხალი ფაქტებია, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ შეეძლებელია ამ მაგალითების მოყვანა. მკითხველები ერთი შეხედვით ზოგად დებულებებს განამტკიცებენ კონკრეტული ფაქტებით, რომელთა მოწმენი გახდნარან, ან თვით ყოფილან მომხდარი ფაქტის მსხვერპლნი. ასეთ წერილებს რედაქცია შესაბამის ორგანოებს გადუგზავნის.

ზოგიერთ მშობელს აღზრდა ჰგონია თუ კარგად ჩაიცვა და დაახურა, მაძღრისად ასვა და აკვამა, გართობა-დასვენება. ადარაკები და ფუფუნება არ მოაკლო თავის შვილს, მაგრამ მარტო ეს როდია აღზრდა. ასე „აღზრდილი“ შვილისგან არცთუ იშვიათია ბოროტების ჩადენა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. სწორედ ასეთ კაი-აღზრდას უცხადებს ომს ერთ-ერთი მკითხველი — **ვ. ნემსაძე** თავის წერილში: „ფუფუნება და განცხრომით ცხოვრება, თუ მას არ ახლავს შრომა, სიბეჯითე, მორალური სიფაქიზე. ბავშვს ცუდად ქცევისაკენ უბიძგებს. ჩემი პედაგოგიური მუშაობის პერიოდში ბევრი მაგალითი მრნახავს, რომ ფუფუნებაში აღზრდილი ბავშვი უხასიათოდ ყოფილა... ასე ცალმხრივად ნახარდი ბავშვი ვერ იქნება სრულყოფილი მოქალაქე. ბავშვს სჭირდება გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობა“. ამ მტკივნეულ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას მკითხველები **ს. მაისურაძე, ნ. ჭადაგიძე, ი. ასათიანი, ო. ჯიმუცაძე, გ. ყარყარაშვილი, ა. ვაჭარაძე** და ბევრი სხვა.

ბევრი მკითხველი აღშფოთებულია ეკონომიურად ბერეფლიანი „მოუცლელი“ მამების წრიხაყმდეგ. სწორედ ასეთი მამების თვალწინ იწყება ნორჩი სულის დამახინჯება. დედა ასეთ ბავშვს „ვერ ეოეა“, მამას კი „დრო არა აქვს, უფრო დიდი ამბებით არის დაკავებული“ (!).

„მშობლიური მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაკეთილსინდისიერად შესრულება საზოგადოების წინაშე ჩადენილი ბოროტებაა, რადგან ზიანი აყენება მომავალი მოქალაქის, კომუნიზმის აქტიური მშენებლის სწორად ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს. შეცდომაა, როცა მამები ბავშვის აღზრდას მთლიანად დედებს აკისრებენ და ამას თავიანთი „მოუცლელობით“ ამართლებენ. მამის როლი განსაკუთრებით დიდია მოზარდთა აღზრდაში“.

მკითხველ **მ. ბაბუნაშვილის** ამ აზრს იზიარებენ სხვა ავტორებიც (**თ. ზაალიშვილი, ა. ზურიაშვილი, ა. შპილევსი**).

სამწუხაროდ, ცოტა როდია ოჯახის უსაფუძვლო დანგრევის ფაქტი. მშობლები ეგოისტობას იჩენენ, პირად ბედნიერებას ანაცვალებენ თავიანთი პირმშოს მომავალს.

მიტოვებულ ბავშვებზე წერს მკითხველი **გ. გორდეზიანი:** „ისინი სულიერად ტრავმირებული და ყველაფერზე გულგატეხილი არიან... ეს კი ყველაზე მეტი დანაკლისია ბავშვებისათვის“.

ერანაკლები აღელვებით წერს მკითხველი **შ. გუგუშვილი:** „იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც გაურბიან ოჯახს, თავიანთ მშობლიურ და საზოგადოებრივ მოვალეობას... უნებგებოდ მიტოვებული თვალცრემლიანი ბავშვი, დაეძებს მამას, ზოგიერთი—დედას, უარეს შემთხვევაში კი ორივეს. ისინი ავადმყოფურად აღიქვამენ მშობლების სისასტიკეს, დაჩაგრულად გრძნობენ თავს, გაურბიან ადამიანებს, უხეშობენ, ცუდად სწავლობენ, სურთ ჩამოსცილდნენ სკოლას... ასეთი გულქვა მშობლები საზოგადოებრივი გაკიცხვისა და კანონით დასჯის ღირსნი არიან“.

ამ თემაზე სწერენ რედაქციას ავტორები: **ც. ჯალალოვა, თ. მორბედაძე ა. ათაბეგოვი, მ. შათირიშვილი, ც. ლეკიშვილი, მ. ისაკოვა, მ. ყურაშვილი, ქ. სეხნიაშვილი, მ. კახიძე, ო. ვაშაკაშვილი, თ. ჯაშიაშვილი, ფ. ნარეკაშვილი, მ. პეტრიაშვილი, ნ. მამაცაშვილი, თ. გიგაური, ა. ლიბიტარიშვილი, ზ. მარკოზაშვილი, ა. მაჩაბლიშვილი, ც. ყორღანოვა, ა. ჭკადე, ც. ლომიძე, თ. შიუკაშვილი, ე. ანაშვილი, ა. ესიტაშვილი, ც. გულმაგარაშვილი, ლ. სულხანიშვილი, ს. მესხი, ქ. ლეკიშვილი, გ. ვაკრიძე, ე. ხუციშვილი, მ. მოდებაძე, თ. მარკოზაშვილი, ზ. ზაალიშვილი, ე. აფციაური, ო. გიქუაშვილი, ვ. დათუკიშვილი, თ. ძამუკაშვილი, ნ. თელიაშვილი, ც. მახათელაშვილი, ვ. კალმახელიძე, ნ. ერისთავი, ლ. ფარეშიშვილი, ნ. ნაზირიშვილი, მ. ქიკვაშვილი, ე. ყურშიტაშვილი, პ. გურგენიანი, ვ. ბაგაური, ს. გერგაული, ნ. გულარაშვილი, ნ. ჭანუყვაძე, გ. დოლმაია, კ. დუნდუა, ნ. ცხოვრებაძე, რ. ბიწაძე, ა. ითაბაშვილი, ი. გულუა, შ. დეკდარიანი, ე. ბოგიშვილი, ბ. მიკაშავიძე, შ. კოლაძე, ა. ცოტნიაშვილი, შ. შენგელია, გ. სამუშია, ვ. შუბლაძე, კ. ადეიშვილი, ფ. სხირლაძე, ს. ბუქური, ე. კარტაშოვა, ა. ტარუაშვილი, რ. ზარნაძე, ლ. თუთაშვილი, ბ. ლიბარტელიანი, მ. ცაგარეიშვილი, ც. ხმალაძე, თ. ცოცაშვილი, თ. ბორცვაძე, ნ. მანკვალაძე, ბ. შველიძე.**

აღზრდის დიდ პროცესში ოჯახთან ერთად სკოლა ძირითადი რგოლია. სკოლა უნდა გამოირჩეოდეს სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის მაღალი დონით.

„ბავშვთა აღზრდის საქმეში კარგ შედეგს იძლევა შშობლისა და მასწავლებლის ერთსულოვანი შუშაობა — სკოლისა და ოჯახის კავშირი“, — სწერს რედაქციას მკითხველი **მ. ჩიტორელიძე.**

ეი კიდევ რას წერს თავის წერილში მკითხველი **ნ. რევაშვილი:**

„სამწუხაროდ, ზოგიერთი გადიდგულებული და უსაფუძვლოდ გაამაყებული მშობელი ზევიდან დასცქერის სკოლას, მასწავლებლებს“.

არიან, ცხადია, ასეთი მშობლები და ისინი გაკიცხვის ღირსი არიან. მშობელი ხელს კი არ უნდა უშლიდეს მასწავლებელს, სკოლას, არამედ მხარში ედგას მათ, ამაზე სწერენ რედაქციას: **მ. კორვალიძე, ა. წოკლაური, ს. კაპანაძე, მ. სარაჯიშვილი, ლ. კალანდაძე, ვ. გორნაკაშვილი, ზ. სვანიძე, ა. გელაშვილი, მ. ტიბანელი, ვ. ებიტაშვილი, ა. მანკავიძე, დ. უჩანეიშვილი.**

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ არის მასწავლებლზე დამოკიდებული. ბავშვთა სწავლებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მასწავლებელს. დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის უნარს, რომ მან თავის აღსაზრდელებს ჩაუნერგოს ცოდნის სიყვარული, სიბეჯითე, როგორც ცოდნის დაუფლებაში. მასწავლებელი, როგორც გაზეთი „პრავდა“ წერდა, მოწოდებულია თავისი საქმის ოსტატი იყოს, ჭკვნდეს მაღალი კულტურა, მზრდელობითი მუშაობის მაღალი დონით.

„ბავშვთა აღზრდის საქმეში კარგ შედეგს იძლევა მშობლისა და მასწავლებლის ერთსულოვანი შუშაობა — სკოლისა და ოჯახის კავშირი“, — სწერს რედაქციას მკითხველი **მ. ჩიტორელიძე.**

ეი კიდევ რას წერს თავის წერილში მკითხველი **ნ. რევაშვილი:**

„სამწუხაროდ, ზოგიერთი გადიდგულებული და უსაფუძვლოდ გაამაყებული მშობელი ზევიდან დასცქერის სკოლას, მასწავლებლებს“.

არიან, ცხადია, ასეთი მშობლები და ისინი გაკიცხვის ღირსი არიან. მშობელი ხელს კი არ უნდა უშლიდეს მასწავლებელს, სკოლას, არამედ მხარში ედგას მათ, ამაზე სწერენ რედაქციას: **მ. კორვალიძე, ა. წოკლაური, ს. კაპანაძე, მ. სარაჯიშვილი, ლ. კალანდაძე, ვ. გორნაკაშვილი, ზ. სვანიძე, ა. გელაშვილი, მ. ტიბანელი, ვ. ებიტაშვილი, ა. მანკავიძე, დ. უჩანეიშვილი.**

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ არის მასწავლებელზე დამოკიდებული. ბავშვთა სწავლებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მასწავლებელს. დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის უნარს, რომ მან თავის აღსაზრდელებს ჩაუნერგოს ცოდნის სიყვარული, სიბეჯითე, როგორც ცოდნის დაუფლებაში. მასწავლებელი, როგორც გაზეთი „პრავდა“ წერდა, მოწოდებულია თავისი საქმის ოსტატი იყოს, ჭკვნდეს მაღალი კულტურა, მზრდელობითი მუშაობის მაღალი დონით.

„ბავშვთა აღზრდის საქმეში კარგ შედეგს იძლევა მშობლისა და მასწავლებლის ერთსულოვანი შუშაობა — სკოლისა და ოჯახის კავშირი“, — სწერს რედაქციას მკითხველი **მ. ჩიტორელიძე.**

ეი კიდევ რას წერს თავის წერილში მკითხველი **ნ. რევაშვილი:**

„სამწუხაროდ, ზოგიერთი გადიდგულებული და უსაფუძვლოდ გაამაყებული მშობელი ზევიდან დასცქერის სკოლას, მასწავლებლებს“.

არიან, ცხადია, ასეთი მშობლები და ისინი გაკიცხვის ღირსი არიან. მშობელი ხელს კი არ უნდა უშლიდეს მასწავლებელს, სკოლას, არამედ მხარში ედგას მათ, ამაზე სწერენ რედაქციას: **მ. კორვალიძე, ა. წოკლაური, ს. კაპანაძე, მ. სარაჯიშვილი, ლ. კალანდაძე, ვ. გორნაკაშვილი, ზ. სვანიძე, ა. გელაშვილი, მ. ტიბანელი, ვ. ებიტაშვილი, ა. მანკავიძე, დ. უჩანეიშვილი.**

ვანსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ იმისადმი მუდმივი კონტროლის დაწესების საჭიროებას, თუ როგორ ხორცელდება კანონი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ. მკაცრად უნდა მოვთხოვოთ მშობლებს ან მათს შემცველ პირებს უზრუნველყონ ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნა სკოლებში.

მკითხველთა საგრძნობი ნაწილი პრეტენზიას უყენებს „უწმინდესი ვალის“ ავტორს. ერთი, და მთავარი, არის აღზრდა, მაგრამ, ვთქვათ, ვერ მივიღეთ კარგად აღზრდილი ადამიანი, მან ჩადინა დანაშაული, ზიანი მიაყენა მოქალაქეს, დაარღვია საზოგადებრივი წესრიგი, იხულიგნა; ის, ვინც პირდაპირ მოწოდებულია დაიცვას საზოგადოება აღვირახსნილ ელ. ხულიგნისაგან, ზოგჯერ ამ უკანასკნელის დაკავებას ირა ცდილობს, ხშირად დამნაშავეს კი არ მისდევს, არამედ დაზარალებულთან ფუსფუსებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების ის მუშაკები, რომლებიც ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დასაცავად არიან გამოყოფილი, ყოველთვის უნდა იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. ამხ. ვ. შადური ამ და მსგავს სხვა მტკივნეულ საკითხებს თავის წერილში, სამწუხაროდ, არ ეხება.

შრომისმოყვარე, საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანის აღსაზრდელად დიდი როლი აკისრიათ პარტიულ ორგანიზაციას, პროფკავშირს, კომკავშირს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

„იმ საწარმოს ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სადაც მოზარდები მუშაობენ და ამასთანავე საღამოს სკოლებში სწავლობენ, მუშაობა უნდა მოვთხოვოთ მშობლებს ან მათს შემცველ პირებს უზრუნველყონ ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნა სკოლებში“.

„ბავშვთა ... ნაწილი პრეტენზიას უყენებს „უწმინდესი ვალის“ ავტორს. ერთი, და მთავარი, არის აღზრდა, მაგრამ, ვთქვათ, ვერ მივიღეთ კარგად აღზრდილი ადამიანი, მან ჩადინა დანაშაული, ზიანი მიაყენა მოქალაქეს, დაარღვია საზოგადებრივი წესრიგი, იხულიგნა; ის, ვინც მოწოდებულია დაიცვას საზოგადოება აღვირახსნილ ელ. ხულიგნისაგან, ზოგჯერ ამ უკანასკნელის დაკავებას ირა ცდილობს, ხშირად დამნაშავეს კი არ მისდევს, არამედ დაზარალებულთან ფუსფუსებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების ის მუშაკები, რომლებიც ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დასაცავად არიან გამოყოფილი, ყოველთვის უნდა იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. ამხ. ვ. შადური ამ და მსგავს სხვა მტკივნეულ საკითხებს თავის წერილში, სამწუხაროდ, არ ეხება.

შრომისმოყვარე, საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანის აღსაზრდელად დიდი როლი აკისრიათ პარტიულ ორგანიზაციას, პროფკავშირს, კომკავშირს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

„იმ საწარმოს ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სადაც მოზარდები მუშაობენ და ამასთანავე საღამოს სკოლებში სწავლობენ, მუშაობა უნდა მოვთხოვოთ მშობლებს ან მათს შემცველ პირებს უზრუნველყონ ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნა სკოლებში“.

მკითხველთა საგრძნობი ნაწილი პრეტენზიას უყენებს „უწმინდესი ვალის“ ავტორს. ერთი, და მთავარი, არის აღზრდა, მაგრამ, ვთქვათ, ვერ მივიღეთ კარგად აღზრდილი ადამიანი, მან ჩადინა დანაშაული, ზიანი მიაყენა მოქალაქეს, დაარღვია საზოგადებრივი წესრიგი, იხულიგნა; ის, ვინც მოწოდებულია



ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლაში ჩამოყალიბებულია ლიტერატურის წრე, რომელსაც დათმობილი აქვს ცალკე კაბინეტი. კაბინეტი მდიდარია ლიტერატურით, აქ არის ჩვენი მწერლების, პოეტების პორტრეტები, მათი ბრძნული აზრები. თავისუფალს ვერასდროს ვერ ნახავთ ამ კაბინეტს — იქ წერენ, კითხულობენ, ლიტერატურის ამა თუ იმ საკითხზე კამათობენ მოსწავლეები.

ლიტერატურულმა წრემ გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი. მოსწავლეთა ეს წრეც ნორჩი თაობის აღზრდის სამსახურში დგას.

სურათზე. მეცხრეკლასელები ემზადებიან წრის მორიგი მეცადინეობისათვის.

ფოტო და ტექსტი
ა. ჩარკვიანისა.

• მკითხველები ამხილებენ

ასეთი კაცი დადის ქვეყნად!

მინდა მკითხველებს მოვუთხრო ერთ ულირს მშობელზე. 17 წლის წინათ ცაგერის რაიონის სოფელ ლახურაში მცხოვრებმა ავტომძღოლმა დეს-ძე ახვლედიანმა ლენტეხის რაიონის სოფელ ჯახურაში მცხოვრები ანეტა რაჟდენის ასული ტეილდიანი. კაპიტონმა გადაწყვიტა საცხოვრებლად გადმოსულიყო თავის სიდედრთან ლენტეხში. მალე მან დაიწყო ხელგაშლილი ცხოვრება, არ შრომობდა და არ უვლიდა ოჯახს, სოფელში მოქეიფის „სახელი“ გაითქვა. ცოლქმარს ეყოლათ ჯერ ქალიშვილი — ზოია, რომელიც უკვე 15 წლისაა, ამჟამად კი უკვე 6 შვილი ჰყავთ, რომელთაგან უმცროსი გოგონა 5 წლისაა. როგორც ბევრთან, ოჯახს დიდი ზრუნვა და შრომა სჭირდებოდა, კაპიტონი კი ხშირად თვეობით მიატოვებდა ოჯახს, გადადარგებოდა და არავითარ დახმარებას არ უწევდა.

იგი ასევე არ იხმარებოდა თავის მოხუც მშობლებს სოფელ ლასურიაშში. ამ თავაშვებული ქალის მიმართ მეხუთე წელია მოდის საჩივრები. როგორც მისი ცოლის, ისე მოხუცი მშობლებისაგან. ისინი გვთხოვენ დახმარებას, რათა მოვუძებნოთ ქმარი და შვილი. კაპიტონის მონახვა ერთობ გაძნელდა. იგი ვიღაცეებს ხელშეწყობით ეხერხებდა

საერთაშორისო ცხოვრება

ავღანელთა სიამაყე

(ჯელალაბადის არხი)

ავღანეთში საბჭოთა სპეციალისტებისა და ტექნიკოსების დახმარებით მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტი. ნანგარ-ხარის პროვინციაში დამთავრდა ჯელალაბადის საირიგაციო სისტემის პირველი რიგის მშენებლობა. ამ სისტემის ობიექტების კომპლექსში შედის 70 კილომეტრიანი მაგისტრალური არხი, მთავარი კვანძი და 22 მეტრი სიმაღლისა და 140 მეტრი სიგრძის კაშხალი მდინარე ქაბულზე, 11 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. ეს არხი, რომელიც მთელი ჯელალაბადის სისტემის საფუძველია, მორწყავს 30 ათასზე მეტ ჰექტარ მიწას, აქედან 24 ათას ჰექტარ უდაბნოს. ამ მიწებზე ავღანელები ყოველწლიურად მოიწევენ ორ-სამ მოსავალს. კომპლექსის ყველა სამუშაოს დამთავრების შემდეგ გვალვიანი მიწები მიიღებენ წყალს, ხოლო სოფლები და სამრეწველო საწარმოები — ელექტროენერგიას.

ოთხწელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც უდაბურ ადგილას ჯელალაბადის მახლობლად დაიწყო მომავალი არხის მშენებლობა. საირიგაციო სისტემის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღეს 14 ათასზე მეტმა ავღანელმა მუშამ და სპეციალისტმა, 500-ზე მეტმა საბჭოთა ინჟინერმა, ტექნიკოსმა და გამოცდილმა მექანიზატორმა. მათ მძიმე კლიმატურ პირობებში აუშენეს ავღანეთის მასშტაბით ამ დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მრავალი ობიექტი. მთიან ადგილას ავღანელმა და საბჭოთა მშენებლებმა გაბურღეს დაახლოებით 9 კილომეტრი სიგრძის ორი გვირაბი. მაგისტრალური არხის, ჰიდროკვანძისა და გვირაბების მშენებლობის დროს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობამ შეადგინა: მიწის — 7,8 მილიონი კუბური მეტრი, ბეტონის და რკინაბეტონის — 128 ათასი კუბური მეტრი, ქვის (დაგება და მოყირწყვლა) — 48 ათასი კუბური მეტრი და ლითონკონსტრუქციების — 2,7 ათასი ტონა.

„ჯელალაბადის საირიგაციო სისტემის ამოქმედების შედეგად, განაცხადა ავღანეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს კაშხალებისა და არხების მშენებლობის დეპარტამენტის უფროსმა მ. ლიუდინმა, ნანგარ ხარის პროვინციის უდაბური მიწები რამდენიმე წლის შემდეგ აყვავებულ მხარედ — ავღანეთის ბედლად გადაიქცევა. ეს სისტემა ჭეშმარიტად ჩვენი სიამაყე იქნება, ხოლო შემდეგი თაობები მადლიერებით მოიგონებენ საბჭოთა მეგობრებს, რომლებიც დაგვეხმარნენ".

ავღანეთის სახელმწიფო კომისიამ უკვე დაამთავრა არხის ობიექტების მიღების სამუშაო. ახლა მთავრდება უკანასკნელი სამზადისი ჯელალაბადის არხის ობიექტების საზეიმო ვითარებაში ამუშავებისათვის.

ფილმი ჭოკიოს ოლიმპიადის შესახებ

ტოკიო, 10 მარტი. (საკდესი). დღეს ტოკიოში გაიმართა ფერადი ფართოეკრანიანი სტერეოფონიული ფილმის „ტოკიოს ოლიმპიადის" იაპონური პრემიერა. პრემიერას დაესწრნენ იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო და საიმპერატორო გვარის წევრები, პრემიერ-მინისტრი სატო, იაპონიის მთავრობისა და პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, იაპონიის სპორტის მოღვაწეები და საზოგადო მოღვაწეები, იაპონელი და უცხოელი კორესპონდენტები.

საფრანგეთის კომპარტია მოუწოდებს

პარიზი, 11 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა პომპიდუმ წინასაარჩევნო სიტყვა წარმოთქვა ტელევიზიით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ოპოზიციას არა აქვს საშუალება ისარგებლოს რადიოთი ან ტელევიზიით საარჩევნო კამპანიის დროს მუნიციპალური არჩევნების წინ, რათა გამოთქვას თავისი შეხედულებანი, მაშინ როცა მთავრობის პარტია იყენებს პროპაგანდის ამ საშუალებებს.

ებება რა პომპიდუს გამოსვლის არსს, კომპარტია აღნიშნავს: პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ საფრანგეთის ეკონომიკა სიძნელეებს განიცდის. ამასთან ერთად იგი ბევრ რამეს შეპირდა ამომრჩევლებს, მაგრამ არ განუმარტავს, რა გზით აპირებს მთავრობა ამ დაპირებათა შესრულებას.

კომპარტია მოუწოდებს მშრომელებსა და დემოკრატებს წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობას, მომავალ მუნიციპალურ არჩევნებში.

გადამწყვეტი ბრძოლის გზაზე

ესპანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის განცხადება

პარიზი, 10 მარტი. (საკდესი). „ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო გაჭანებით ჩადგებიან ოპოზიციური მოძრაობა", — ნათქვამია ესპანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებაში, რომელიც აქ ვამოაქვეყნა იუნიონ ფრანსეზ დ'ინფორმასიონის საგენტომ.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მუშათა კლასის ბრძოლას — და ამ ცოტახნის წინათ გაშლილ სტუდენტთა ბრძოლას რომლებსაც შეუერთდა მრავალი მაწყალებელი, „სულ უფრო უფერენ მზარს ესპანეთის საზოგადოებრიობის ფართო ფენები".

ესპანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომი აღნიშნავს: იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს დიქტატურას მშვიდობიანი საშუალებებით, ისე რომ თავიდან აეცილოთ ესპანეთში ახალი სამოქალაქო ომის წარმოშობის საფრთხე, ახლანდელ პირობებში საჭიროა ბრძოლა გაწარმოოთ საერთოეროვნული გაფიცვის სახით, რომელშიც ესპანეთის მოსახლეობის ყველა ფენა გამოთქვამს თავის ზიზღს ახლანდელი რეჟიმისადმი და მოითხოვს დემოკრატიული წყობილების დამყარებას.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო გეგმით ესპანეთი უნდა დაებრუნდეს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. შეწყვიტოს მონაწილეობა სამხედრო ბლოკებში, დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები, დაიცვას მშვიდობა.

მაკარენის კანონი ჩაჩქს სცხებს ამერიკის ღირსებას

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამასამდე ცნობილმა მოღვაწემ მოაწერა ხელი განცხადებას, რომელშიც პრეზიდენტ ჯონსონს და კონგრესს მოუწოდებენ გააუქმონ მაკარენის კანონი, რომლის საფუძველზე იუსტიციის სამინისტრომ სასამართლო საქმე აღძრა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

განცხადებას სხვებთან ერთად ხელს აწერენ მწერლები, პედაგოგები, მეცნიერები და პროფკავშირული მოღვაწენი.

თათბირი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 11 მარტი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

გუშინ პრეზიდენტ ჯონსონი კვლავ ეთათბირა სახელმწიფო მდივანს რასკს, თავდაცვის მინისტრს მაკნამარასა და სპეციალურ მრჩეველს ეროვნული უშიშროების საკითხებში ბანდის სამხედრო ობიექტ კემპ დევიდში, რომელსაც დიდი სიფრთხილით იცავს საზღვაო ქვეითი ჯარი.

თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში რიდიმ გუშინ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ კემპ დევიდის თათბირზე განიხილეს „საერთო საკითხების, მსოფლიოს ვითარებისა და ზოგიერთი სამხედრო საკითხის" განხილვას, რომელიც გუშინწინ დაიწყო თეთრ სახლში. რიდის სიტყვით, გუშინწინდელი თათბირი იყო „ჩვეულებრივი", ხოლო ამ თათბირის განგრძობა კემპ დევიდში არ არის დაკავშირებული რაიმე „კონკრეტულ პრობლემასთან".

პრეზიდენტ ჯონსონის საიდუმლო თათბირები უმაღლეს სამხედრო და დიპლომატიურ მრჩეველებთან მომდინარეობს იმ დროს, როცა ამერიკის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ მოსალოდნელია ომის შემდგომი გაფართოება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. გუშინ გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იხილავს იმ საკითხს, რომ გაიგზავნოს ვიეტნამის ნაპირებისაკენ კიდევ ერთი ავიამზიდი, რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი და სადესანტო გემები პატრულირების გასაძლიერებლად და, იქნებ, ვიეტნამის სანაპიროს საზღვაო ბლოკადის მოსაწყობადაც. დღეს დაიბეჭდა ცნობები, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა სამხრეთ ვიეტნამში დამატებით გაგზავნონ საზღვაო ქვეითი ჯარის 10.000 ჯარისკაცი.

კორესპონდენტებმა კითხეს რიდის, ხომ არ არის დაკავშირებული პრეზიდენტ ჯონსონის, რასკის, მაკნამარასა და ბანდის კემპ დევიდის თათბირი იმასთან, რომ განხრახულია სამხრეთ ვიეტნამში საზღვაო ქვეითი ჯარის დამატებითი ნაწილები გაიგზავნოს. თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში ამ კითხვაზეც ბასუხს და განაცხადა, არ მინდა შევეხო საკითხს, გაიგზავნება თუ არა სამხრეთ ვიეტნამში საზღვაო ქვეითი ჯარის დამატებითი ნაწილები. „მე მიმაჩნია, თქვა რიდმ, რომ ეს ოპერატიული საკითხია, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო განაგებს", იგი დასჯერდა მხოლოდ განცხადებას, რომ კემპ დევიდის თათბირი არ არის დაკავშირებული რაიმე „კონკრეტულ საკითხთან", ასევე თუ ისე, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. სულ რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში „უარყოფდნენ" ხმებს, რომ სამხრეთ ვიეტნამში იგზავნებოდა ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის პირველი ეშელონი 3.500 კაცის შემადგენლობით. ერთი-ორი დღის შემდეგ კი ეს ფაქტი გახდა.

ამერიკის პრესა მოურიდებლად წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „არ შეუძლია დიდხანს უცადოს" ჩრდილოეთ ვიეტნამის პასუხს აკმაყოფილებს თუ არა ამერიკის მოთხოვნებს, და უახლოეს დროში უნდა მიიღოს კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, თუ რა დამატებითი სამხედრო ზეგავლენა სურს მოახდინოს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

საზღვაო ქვეითი ჯარის 3.500 ჯარისკაცის გაგზავნას სამხრეთ ვიეტნამში, აღნიშნავს დღეს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" სამხედრო მიმმხილველი ნორისი, ჰქონდა ორი მიზანი — ეს იყო დასაწყისი და მზადება იმისათვის, რომ გაიგზავნოს ამერიკის ჯარების უფრო დიდი კონტინგენტები სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, თუ ეს საჭირო გახდა... ამერიკის რჩეული ჯარების — საზღვაო ქვეითი ჯარის გადასხმა არა მარტო ხელს შეუწყობს ამერიკელი ხალხის მომზადებას ასეთი ნაბიჯისათვის, არამედ აგრეთვე „სიგნალს" მისცემს ჰანოისა და პეკინს, რომ ვაშინგტონი მზად არის უკიდურესობამდე მიგიდეს სამხრეთ ვიეტნამის დასაცავად.

ამერიკის პრესამი ამ განხილვიდან ჩანს, რომ პრეზიდენტ ჯონსონის ორი დღის თათბირს უმაღლეს სამხედრო და დიპლომატიურ მრჩეველთან შეიძლება ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს.

ამერიკელი ბომბდამშენები ვიეტნამში

ბანგკოკი, 10 მარტი. (საკდესი). ტაილანდმა სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნა ინსტრუქტორი მფრინავები და ავიაციის მექანიკოსები სამხრეთ-ვიეტნამელი მფრინავების გასაწვრთნელად და იმ თვითმფრინავთა მოსამსახურებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ საბრძოლო ოპერაციებში პარტიზანთა წინააღმდეგ. ეს განაცხადა ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ტანომ კატიკაჩორნმა.

ოკინავის კუნძულზე

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკდესი). საზღვაო ქვეითი ჯარის ბრიგადას, რომელშიც 6 ათასამდე კაცი შედის, მალე გადასხმენ პაკაის კუნძულებიდან ოკინავის კუნძულზე. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტო, რომელიც იმოწმებს სამხედრო წყაროებს. როგორც საგენტო იუწყება, ამ ბრიგადამ უნდა შეავსოს ოკინავაში განლაგებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობა. იგი შეცვლის ორ ბატალიონს, რომლებიც ამ კუნძულიდან გაგზავნეს სამხრეთ ვიეტნამში.

ბონის ბუნდესტაგში

ბონი, 10 მარტი. (საკდესი). დღეს დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგში გაიმართა კამათი საკითხზე ნაციზმის დროის სამხედრო ფანამაფულთა გამო სასამართლო დევნის ხანდაზმულობის ვადის შესახებ. გამოორკვა სხვადასხვა თვალსაზრისი ამ საკითხში. მმართველი პარტიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წევრ დეპუტატთა ნაწილი მხარს უჭერს დეპუტატ ბენდას (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) წინადადებას, რომ კიდევ 10-წლით გაგრძელდეს ხანდაზმულობის ვადა, რომელიც ფორმალურად გადის 1965 წლის მაისში.

დღეანდელი კამათის მასალები განსახილველად გაიგზავნა ბუნდესტაგის სამართლის საკითხთა კომისიაში. შემდეგ მოეწყობა დასკვნითი კამათი, რომლის ზუსტი თარიღი ჯერ არ არის დაწესებული.

ბელადოვი ბელგრადში

ბელგრადი, 10 მარტი. (საკდესი). ბელგრადში ჩავიდა ბულგარეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე ბელადოვი. ბელადოვს ბელგრადის აეროპორტში ხვდებოდნენ ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ბანდერი, ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს მდივანი ბანოვიჩი, ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს ეროვნული ეკონომიკის ფედერალური სამდივნოს მდივანი ბანოვიჩი,

სეილემის ტრაგედია

არტურ მილერი — თანამედროვე ამერიკული დრამატურგიის ყველაზე ნიჭიერი და პროგრესული წარმომადგენელი, ჯერ კიდევ 1957 წელს ნიუ-იორკში გამოცემული თავისი პიესების წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ იდეა, რომელიც საფუძვლად უდვია პიესას, მისივე მნიშვნელობის, სერიოზულობისა და სიმშვენიერის საზომია... სწორედ სერიოზული იდეები განსაზღვრავენ პიესის წარმატებას თანამედროვეთათვისო. გასაგებია, რომ მილერის „სეილემის პროცესმაც“ სწორედ ამ სერიოზული იდეით მიიპყრო მსოფლიო ყურადღება.

თავის ადრინდელ პიესებში („ყველა ჩემი გაეშვილი“ 1947 წ. „კომივოიაჟორის სიკვდილი“ 1948 წ.). მილერმა ამხილა თანამედროვე ამერიკული ცხოვრების ბნელი სამყარო, რომელშიც ცალკეულ ადამიანებსა და საზოგადოებას შორის მუდმივი კონფლიქტია. „სეილემის პროცესში“ კი ავტორმა განიზრახა ეჩვენებინა XVII საუკუნის დასასრულის ქალაქ სეილემის ტრაგედიის სამარცხვინო ფაქტი, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული ცხოვრების უხამსობის ერთგვარ მორეულ საყოსს წარმოადგენს.

მაგრამ მილერი სხვა კრიტიკული რეალისტებისაგან განსხვავებული არ იქნებოდა, მხოლოდ მხილების გზას რომ დასდგომოდა. თვითონ ავტორმა განაცხადა: „ამ პიესას სხვა დროს არავითარ შემთხვევაში არ დავწერდი, თუ არა სწორედ ახლა“. პიესაში წინა პლანზე წამოყენებული გმირი — ჯონ პროქტორი, რომელმაც განიზრახა მაღალი ალემართა ქეშმარიტებისა და სიმართლის ჩირაღდანი, ტრაგიკულად იღუპება, რადგან იგი მარტო. მილერი განგებ ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ადამიანთა შორის გაბატონებულმა შურმა, გაუტანლობამ, სიძულვილმა და ეგოიზმმა სიკეთისა და სიმართლის სრული დამარცხება მოიტანა. პროქტორი მხოლოდ მამხილებელი არ არის. იგი სამაგალითოა განსაკუთრებით არა მარტო დღევანდელ ამერიკაში, არამედ ყველგან, სადაც კი უსაბრალოება და ბოროტება.

სასიხარულოა, რომ ძირითადად „სეილემის პროცესმა“ სწორედ სიმართლისათვის ბრძოლის სერიოზული იდეით მიიპყრო რუსთაველის თეატრის ყურადღება. თავიდანვე იგრძნობა რეჟისორ რ. სტურუას, მხატვრების ო. ჭოჩაიძის, ა. სლოვინსკის, ი. ჩიკვაიძის და მთელი შემოქმედებითი დასის ერთსულოვნება, როგორც პიესის იდეის წინ წამოწევისათვის, ისე მილერისეული-რომანტიკული პათოსის შენარჩუნებისათვის. სწორედ ამ რომანტიკულმა პათოსმა თითქოს ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა რუსთაველის თეატრის სცენაზე, სადაც თავიდანვე დამკვიდრებული იყო გმირულ-რომანტიკული სული. რეჟისორმა მხოლოდ ოდნავ შეამოკლა პიესა და თუმცა ოთხი მოქმედება სამ მოქმედებად დაიყვანა, არსებითად პიესის სიუჟეტური ქარგა თითქმის იგივე დარჩა. სამაგიეროდ დროის შემცირებით უფრო შესაძლებელი გახდა სპექტაკლის მთლიანობის დაცვა. მხატვრული გაფორმებაც იმდენად ლაკონიურად არის გაჯერებული, რომ მთლიანად ეჩურყმის საერთო დინამიკას, ამძაფრებს დრამატიზმს. ჯერ კიდევ სპექტაკლის დაწყებამდე აღიქვამს მაყურებელი სცენაზე წარმოსადგენ ცხოვრების საერთო ატმოსფერას: რეჟისორმა და მხატვრებმა სცენას სრულიად მოაცილეს რბილი, ხავერდოვანი ქსოვილის ფარდა, რომელსაც თავისი სილამაზე, ნაზი ფერადოვნებით ეფერებოდა ადამიანებს, ანუ ეფერებოდა ის ბურჟუაზიული ბედნიერება, ბოროტებისა, ტანჯვისა, ტირილისა, ოხვრისა